



**COVID-19
VACCINE**
Public Health
Advice

COVID-19 ვაქცინები

16 წლის და ზემოთ
ადამიანებისთვის

ინფორმაცია

**ფაიზერის, მოდერნას ან ჯანსენის
ვაქცინის შესახებ**

ვერსია 1
მარტი, 2022 წ.



Rialtas na hÉireann
Government of Ireland

ამ ბროშურის შესახებ

ამ ბროშურაში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია COVID-19 სანინაალმდეგო ვაქცინის შესახებ. ის განკუთვნილია 16 წლის და ზემოთ ადამიანებისთვის.

ბროშურას შეგიძლიათ გაეცნოთ ონლაინ, სანამ ვაქცინას გაიკეთებთ. ამ ბროშურას გადმოგცემენ აცრის გაკეთების შემდეგ.

ის შემდეგ ინფორმაციას მოიცავს:

- ვაქცინები, გამაძლიერებელი და დამატებითი დოზები
- ვაქცინის დამტკიცება, უსაფრთხოება და მონიტორინგი
- ორსულობა და ძუძუთი კვება
- რეკომენდირებული ვაქცინები ასაკის მიხედვით
- რას უნდა ელოდოთ COVID-19 სანინაალმდეგო აცრის გაკეთების შემდეგ
- სამივე ვაქცინის გვერდითი მოვლენები და როდის არ უნდა გაიკეთოთ კონკრეტული ვაქცინა

ფაიზერის COVID-19 სანინაალმდეგო ვაქცინა - ასევე ნოდებულის კომირნატი

- » ფაიზერის ვაქცინის შესაძლო გვერდითი მოვლენები
- » როდის არ უნდა გაიკეთოთ ფაიზერის ვაქცინა

მოდერნას COVID-19 სანინაალმდეგო ვაქცინა - ასევე ნოდებულის სპიკევაქსი

- » მოდერნას ვაქცინის შესაძლო გვერდითი მოვლენები
- » როდის არ უნდა გაიკეთოთ მოდერნას ვაქცინა

ჯანსენის COVID-19 სანინაალმდეგო ვაქცინა

- » ჟანსენის ვაქცინის შესაძლო გვერდითი მოვლენები
- » როდის არ უნდა გაიკეთოთ ჟანსენის ვაქცინა
- ვაქცინის მოქმედებისთვის საჭირო დრო
- გვერდითი მოვლენების აღრიცხვა
- სად მიიღოთ ინფორმაცია
- თქვენი პირადი ინფორმაცია

თქვენი ამცრელი ექიმი გიპასუხებთ ნებისმიერ შეკითხვაზე, რომელიც შეიძლება გქონდეთ ამ ბროშურის წაკითხვის შემდეგ.

გთხოვთ, შეინახოთ ეს ბროშურა, რადგან შეიძლება დაგჭირდეთ მისი გადაკითხვა.

თუ ეს ბროშურა გჭირდებათ სხვა ფორმატში, როგორცაა Easy Read, Braille, ირლანდიური უესტური ენა, ან თუ გჭირდებათ გადათარგმნილი ვერსია, ენვით www.hse.ie/covid19vaccinematerials

COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის შესახებ

COVID-19 ვაქცინები COVID-19-გან დაცვის საუკეთესო საშუალებაა. ვაქცინების შემოღების შემდეგ, ირლანდიაში ვირუსისგან სერიოზულად დაავადების და გარდაცვალების რისკები შემცირდა.

COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინა COVID-19-ით დაავადების რისკს ამცირებს და ვირუსით გამოწვეულ სერიოზულ გართულებებისგან გიცავთ. ირლანდიაში HSE ვაქცინაციას ატარებს ვირუსისგან დაცვის, სერიოზულად დაავადების და გარდაცვალების რისკის შემცირების მიზნით.

ეს ბროშურა შეიცავს ინფორმაციას ირლანდიის COVID-19 ვაქცინაციის პროგრამის 3 ძირითადი ვაქცინის შესახებ 16 წლის და 16 წელს ზემოთ ასაკის ადამიანებისთვის: **ფაიზერი**, **მოდერნა** და **ჯანსენი**.

5-დან 11 წლამდე და 12-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების ვაქცინაციის შესახებ ხელმისაწვდომია ცალკე საინფორმაციო ბროშურები ვებგვერდზე www.hse.ie

თუ ნოვა ვაქცინას შემოგთავაზებენ, ასევე წოდებული ნუვაქსოვიდი, ამის შესახებ ცალკე საინფორმაციო ბროშურას მოგაწვდიან.

ირლანდიაში ასტრაზენეკას COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინა ასტრაზენეკა, ასევე წოდებული ვაქსზევრია, აღარ გამოიყენება, მაგრამ მის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.hse.ie

ვაქცინები, გამაძლიერებელი და დამატებითი დოზები

ამ ბროშურაში ვაქცინ(ებ)ის ქვეშ იგულისხმევა:

- პირველი ან მეორე დოზა
- დამატებითი დოზა – სთავაზონებ სუსტი იმუნიტეტის მქონე ადამიანებს ან/და
- გამაძლიერებელი დოზა

ვაქცინის დამტკიცება, უსაფრთხოება და მონიტორინგი

HSE იყენებს მხოლოდ ვაქცინებს, რომლებიც უსაფრთხოებისა და ეფექტურობის სავალდებულო სტანდარტებს აკმაყოფილებენ და აქვთ ევროპის სამკურნალო საშუალებების სააგენტოს (EMA) ლიცენზია.

COVID-19 ვაქცინებს გავლილი აქვთ იგივე კლინიკური კვლევები და უსაფრთხოების შემოწმებები, რაც ყველა სხვა ლიცენზირებულ ვაქცინებს. თუმცა, ეს ვაქცინები ჯერჯერობით ახალია და ინფორმაცია მათი გრძელვადიანი გვერდითი ეფექტის შესახებ მწირია. კერძოდ, გამაძლიერებელი დოზის შემდეგ იშვიათი გვერდითი მოვლენების რისკი ჯერ არ არის ცნობილი.

თქვენი გადასაწყვეტია, გსურთ თუ არა აცრის გაკეთება. HSE, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო) და ჯანდაცვის სამინისტრო დაბეჭდვით გირჩევთ აიცრათ, როგორც კი ამას შემოგთავაზებენ.

სამკურნალო საშუალებების მარეგულირებელი ორგანო (HPRA) და ევროპის სამკურნალო საშუალებების სააგენტო (EMA) აკონტროლებენ COVID-19 ვაქცინების უსაფრთხოებას და ეფექტურობას. HPRA-ის შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია მე-17 გვერდზე.

ირლანდიაში, იმუნიზაციის ეროვნული საკონსულტაციო კომიტეტი (NIAC) ვაქცინაციის პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციებს აძლევს ჯანდაცვის დეპარტამენტს, ხოლო HSE ახორციელებს დეპარტამენტის პოლიტიკას.

ორსულობა და ძუძუთი კვება

COVID-19 ვაქცინა უნდა გაიკეთოთ, თუ:

- ორსულად ხართ;
- ცდილობთ დაორსულებას ან შეიძლება დაორსულდეთ;
- ბავშვს ძუძუთი კვებავთ.

ვირუსით დაინფიცირებული ორსული ქალების უმეტესობას აქვს მსუბუქი ან ზომიერი სიმპტომები, თუნდაც თუ COVID-19 ვაქცინა არ აქვთ გაკეთებული. მშობიარობა გეგმიურად მიმდინარეობს და ბავშვზე COVID-19-ის გადადების რისკი დაბალია.

თუმცა, თუ ორსული ხართ, უფრო მეტი რისკია, რომ შეიძლება გახდეთ ავად და დაგჭირდეთ მკურნალობა ინტენსიური თერაპიის პალატაში. ვირუსმა ასევე შეიძლება გამოიწვიოს გართულებები თქვენი ბავშვისთვის.

არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ COVID-19 ვაქცინები იწვევს უშვილობას მამაკაცებში ან ქალებში. არ არის საჭირო ორსულობის გადადება COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის შემდეგ.

COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება შეგიძლიათ სხვა ვაქცინებთან ერთად, რომლებსაც ორსულებს სთავაზობენ.

თუ ორსულად ხართ, სავარაუდოდ შემოგთავაზებენ **ფაიზერის** ან **მოდერნას** ვაქცინას. ეს mRNA ტიპის ვაქცინებია - ვაქცინები, რომლებიც თქვენ სხეულს ასწავლიან, როგორ გამოიმუშაოს ანტისხეულები, რომლებიც COVID-19 ვირუსს ებრძვის. უფრო მეტი ინფორმაცია მოცემულია ვებგვერდზე www.hse.ie

ირლანდიაში **მოდერნას** ვაქცინას შემოგთავაზებენ, თუ ხართ 30 წლის ან ზემოთ.

კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტს.

რეკომენდირებული ვაქცინები ასაკის მიხედვით

COVID-19 საწინააღმდეგო ყველა ვაქცინა კარგად იცავს COVID-19-ით სერიოზულად დაავადების რისკისგან:

- ვაქცინის პირველი დოზის და
- თქვენთვის რეკომენდირებული ნებისმიერი დამატებითი ან/და გამაძლიერებელი დოზის გაკეთების შემდეგ.

ეროვნული იმუნიზაციის საკონსულტაციო კომიტეტი (NIAC) გირჩევთ, რომ აიცრათ ნებისმიერი COVID-19 საწინააღმდეგო mRNA ტიპის (**ფაიზერის** ან **მოდერნას**) ვაქცინის გამაძლიერებელი დოზით, თუნდაც თუ მანამდე სხვა ვაქცინა გაიკეთეთ.

რეკომენდაცია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით:

თუ ხართ:

- 16-დან 30 წლამდე, შემოგთავაზებენ COVID-19 საწინააღმდეგო **ფაიზერის** ვაქცინას.
- 30 წლის ან ზემოთ, შემოგთავაზებენ COVID-19 საწინააღმდეგო **ფაიზერის** ან **მოდერნას** ვაქცინას.
- 50 წლამდე **ჯანსენის** ვაქცინა არ არის რეკომენდირებული.

თუ mRNA ვაქცინის გაკეთება არ შეგიძლიათ, შეიძლება შემოგთავაზონ **ჯანსენის** ან ნოვავაქსის ვაქცინა.

ნოვავაქსთან დაკავშირებით გვაქვს ცალკე რეკომენდაციები, რომელიც მოცემულია ვებგვერდზე **www.hse.ie**

ბავშვების აცრის შესახებ ცალკე რეკომენდაციები მოცემულია **www.hse.ie**

მნიშვნელოვანია:

ევროპის სამკურნალო საშუალებების სააგენტოს (EMA) და ეროვნული იმუნიზაციის საკონსულტაციო კომიტეტის (NIAC) რეკომენდაციები ზოგჯერ განსხვავდება. ასეთ შემთხვევაში ირლანდიაში არსებული NIAC-ის მითითებებით ვხელმძღვანელობთ.

რას უნდა ელოდოთ COVID-19 საწინააღმდეგო აცრის გაკეთების შემდეგ

როგორც ყველა სხვა მედიკამენტი, ვაქცინებიც შეიძლება იწვევდეს **გვერდით მოვლენებს**: ბევრი მათგანი მსუბუქიდან ზომიერი ფორმისაა, აქვთ მოკლე ეფექტი და ყველას არ აღენიშნება.

იშვიათია უფრო სერიოზული გვერდითი მოვლენები, როგორიცაა მწვავე ალერგიული რეაქცია. ამცრელმა გაიარა სათანადო მომზადება იშვიათი სერიოზული ალერგიული რეაქციების სამკურნალოდ.

ყველა ვაქცინას აქვს თავისი გვერდითი მოვლენები, ამიტომ გაეცანით შესაბამისი ვაქცინის ბროშურას და მწარმოებლის საინფორმაციო ბროშურას პაციენტისთვის. მწარმოებლის ბროშურა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე **www.hse.ie**. ასევე მისი ასლი შეგიძლია ამოგიბეჭდოთ თქვენი აცრის დღეს.

შემდეგ ნაწილში აღწერილია COVID-19 საწინააღმდეგო 3 ვაქცინის ცნობილი გვერდითი მოვლენები და მითითებულია, რამდენად ხშირი ან იშვიათია ეს მოვლენები. ასევე აღნიშნულია, ვინ არ უნდა გაიკეთოს აცრა. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებგვერდზე www.hse.ie

ინფორმაცია მუდმივად ნახლდება. ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ვებგვერდზე www.hse.ie უფრო ხშირად ნახლდება ახალი კვლევების გამოქვეყნებისთანავე.

3 (სამივე) ვაქცინის გვერდითი მოვლენები და როდის არ უნდა გაიკეთოთ კონკრეტული ვაქცინა

შემდეგ გვერდებზე მოგიყვებით სავარაუდო გვერდითი მოვლენების შესახებ და როდის არ უნდა გაიკეთოთ კონკრეტული ვაქცინა. გვერდითი მოვლენები იყოფა ძალიან იშვიათ ან უკიდურესად იშვიათ მოვლენებად.

- ძალიან ხშირი გვერდითი მოვლენები (აღენიშნება 10-დან 1-ზე მეტ ადამიანს)
- ხშირი (აღენიშნება 10-დან 1 ადამიანს)
- არახშირი (აღენიშნება 100-დან 1 ადამიანს)
- იშვიათი (აღენიშნება 1 000-დან 1 ადამიანს)
- ძალიან იშვიათი (აღენიშნება 10 000-დან 1 ადამიანს)
- უკიდურესად იშვიათი. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ადამიანს, რომელიც ამ ვაქცინით იცრება, ექნება აღნიშნული გვერდითი მოვლენები, მაგრამ ეს მოვლენები უკიდურესად იშვიათია.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ვაქცინას ახასიათებს საერთო გვერდითი მოვლენები, ყურადღება უნდა მიაქციოთ იმ ვაქცინის გვერდით მოვლენებს, რომელსაც იკეთებთ. ვაქცინის დასახელება და ფერი მითითებულია სარეგისტრაციო ბარათზე, რომელსაც თქვენი ამცრელი ექიმი გადმოგცემთ, მათ შორის ამ ბუკლეტის გვერდებზე. გვერდით მოვლენებს უნდა დააკვირდეთ აცრის გაკეთებიდან რამდენიმე საათის და დღის განმავლობაში.

ფაიზერის COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინა – ასევე ნოდებული კომირნატი

ქვემოთ ჩამოთვლილია შესაძლო გვერდითი მოვლენები და მათი სიხშირე, ასევე მითითებულია, როდის არ უნდა გაიკეთოთ აცრა. ეჭვის შემთხვევაში ყოველთვის მიმართეთ სანდო სამედიცინო სპეციალისტს.

შესაძლო გვერდითი მოვლენები:	
ძალიან ხშირი გვერდითი მოვლენები აღენიშნება 10-დან 1-ზე მეტ ადამიანს	<ul style="list-style-type: none"> • დაღლილობის შეგრძნება • აცრის ადგილას ტკივილი ან შეშუპება • თავის ტკივილი • კუნთების ტკივილი • სახსრების ტკივილი • დიარეა • ცხელება (სიცხე - 38 გრადუსი ცელსიუსით ან მეტი) ან შემცივნება
ხშირი აღენიშნება 10-დან 1 ადამიანს	<ul style="list-style-type: none"> • გულისრევა • ღებინება • სინითლე აცრის ადგილას
არახშირი აღენიშნება 100-დან 1 ადამიანს	<ul style="list-style-type: none"> • ქავილი აცრის ადგილას • საერთო ქავილი • გამონაყარი • ლიმფური ჯირკვლების შეშუპება. უფრო ხშირია გამაძლიერებელი დოზის შემდეგ. • უძილობა • ჭარბი ოფლიანობა • ლამით ოფლიანობა • მადის დაქვეითება • ენერჯის ნაკლებობა, ლეთარგია ან შეუძლოდ ყოფნა • ტკივილი მკლავში, აცრის ადგილას
იშვიათი აღენიშნება 1 000-დან 1 ადამიანს	<ul style="list-style-type: none"> • სახის ერთი ნაწილის დროებითი დაშვება • ალერგიული რეაქციები, როგორცაა ჭინჭრის ციება ან სახის შეშუპება

<p>ძალიან იშვიათი აღენიშნება 10 000-დან 1 ადამიანს</p>	<ul style="list-style-type: none"> • მიოკარდიტი და პერიკარდიტი. ეს ნიშნავს გულის კუნთის ან გულის კუნთის ლორწოვანი გარსის ანთებას. სიმპტომები მოცემულია შემდეგ გვერდზე.
<p>უკიდურესად იშვიათი სიხშირე ჯერ არ არის ცნობილი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მწვავე ალერგიული რეაქცია • მულტიფორმული ერითემა - კანის რეაქცია, რომელიც იწვევს წითელ ლაქებს ან დაზიანების კერებს კანზე, რომლებიც შეიძლება გამოიყურებოდეს, როგორც სამიზნე ან „ხარის თვალი“ მუქი წითელი ცენტრით, რომელიც გარშემორტყმულია უფრო ღია წითელი ფერის რგოლებით. • სახის შეშუპება, თუ გაქვთ სახის შემავსებლები. • აცრის ადგილას მკლავის (ან ფეხის) ფართო შეშუპება • ჩხვლეტის ან ჩქმეტის შეგრძნება, ან მგრძნობელობის დაკარგვა სხეულის გარკვეულ ნაწილში

მიოკარდიტის და პერიკარდიტის სიმპტომები

მიოკარდიტი და პერიკარდიტი არის გულის ანთებითი დაავადებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაავადებების რისკი ძალიან დაბალია, თქვენ უნდა იცოდეთ, რა ნიშნებია საყურადღებო.

მიმართეთ ექიმს, თუ აცრის შემდეგ ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომი გამოგვევლინდათ:

- ქოშინი
- გულის ფრიალი (ძლიერი გულისცემა, რომელიც შეიძლება იყოს არარეგულარული)
- მკერდის ტკივილი

ფაიზერის (კომირნატის) ვაქცინა არ უნდა გაიკეთოთ, თუ:

- რომელიმე ინგრედიენტზე მწვავე ალერგიული რეაქცია გქონდათ (მათ შორის, პოლიეთილენ გლიკოლი ან PEG). ინგრედიენტების ჩამონათვალის სანახავად, ნაიკითხეთ მწარმოებლის მიერ გაცემული პაციენტის საინფორმაციო ფურცელი.
- თქვენ გქონდათ მწვავე ალერგიული რეაქცია **ფაიზერის** ან **მოდერნას** (სპიკევაქსი) COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის წინა დოზაზე.

- თქვენ გქონდათ მიოკარდიტი (გულის ანთება) **ფაიზერის** ან **მოდერნას** (სპიკევაქსის) COVID-19 ვაქცინის წინა დოზაზე.
 - ექიმმა გითხრა, რომ არ უნდა გაიკეთოთ **მოდერნას** (სპიკევაქსის) ან **ფაიზერის** COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინა სამედიცინო მიზეზით.
-

ესაუბრეთ თქვენს ექიმს COVID-19 საწინააღმდეგო აცრის გაკეთებამდე, თუ თქვენ:

- გქონდათ მძიმე ალერგიული რეაქციის (ანაფილაქსიის) ისტორია, მათ შორის ნებისმიერი სხვა ვაქცინის ან მედიკამენტის მიმართ
- გქონდათ პერიკარდიტი (გულის გარსის ანთება) **ფაიზერის** ან **მოდერნას** (სპიკევაქსის) COVID-19 საწინააღმდეგო წინა ვაქცინის დოზის გაკეთების შემდეგ.

მოდერნას COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინა - ასევე ცნობილი, როგორც სპიკევაქსი

ქვემოთ ჩამოთვლილია შესაძლო გვერდითი მოვლენები და მათი სიხშირე, ასევე მითითებულია, როდის არ უნდა გაიკეთოთ აცრა. ეჭვის შემთხვევაში ყოველთვის მიმართეთ სანდო სამედიცინო სპეციალისტს.

შესაძლო გვერდითი მოვლენები:	
ძალიან ხშირი გვერდითი მოვლენები აღენიშნება 10-დან 1-ზე მეტ ადამიანს	<ul style="list-style-type: none"> დაღლილობის შეგრძნება მგრძნობელობა ან შეშუპება აცრის ადგილას - ზოგჯერ სინითლე შეიძლება განვითარდეს ამ ადგილას აცრიდან 9-11 დღის შემდეგ თავის ტკივილი ლიმფური ჯირკვლების შეშუპება (ჩვეულებრივ, მკლავის ქვეშ აცრის გაკეთების ადგილას) კუნთების ტკივილი სახსრების ტკივილი გულისრევა ან ღებინება ცხელება (სიცხე - 38 გრადუსი ცელსიუსით ან მეტი) ან შემცივნება
ხშირი აღენიშნება 10-დან 1 ადამიანს	<ul style="list-style-type: none"> ღიარეა გამონაყარი გამონაყარი ან შეშუპება აცრის ადგილას (ზოგჯერ სინითლე შეიძლება განვითარდეს ამ ადგილას აცრიდან 9-11 დღის შემდეგ)
არახშირი აღენიშნება 100-დან 1 ადამიანს	<ul style="list-style-type: none"> ქავილი აცრის ადგილას თავბრუსხვევა მუცლის ტკივილი
იშვიათი აღენიშნება 1 000-დან 1 ადამიანს	<ul style="list-style-type: none"> ბელის დამბლა - სახის ერთი ნაწილის დროებითი დაშვება სახის შეშუპება, თუ გაქვთ სახის შემავსებლები ჩხვლეთის ან ჩქმეთის შეგრძნება, ან მგრძნობელობის დაკარგვა სხეულის გარკვეულ ნაწილში
ძალიან იშვიათი აღენიშნება 10 000-დან 1 ადამიანს	<ul style="list-style-type: none"> მიოკარდიტი და პერიკარდიტი. ეს ნიშნავს გულის კუნთის ან გულის კუნთის ლორწოვანი გარსის ანთებას. სიმპტომები მოცემულია შემდეგ გვერდზე.

უკიდურესად იშვიათი

სიხშირე
ჯერ არ არის
ცნობილი

- მწვავე ალერგიული რეაქცია ან ჰიპერმგრძობელობის რეაქციები
- შეიძლება განვითარდეს მულტიფორმული ერითემა - კანის რეაქცია, რომელიც იწვევს წითელ ლაქებს ან დაზიანების კერებს კანზე, რომლებიც შეიძლება გამოიყურებოდეს, როგორც სამიზნე ან „ხარის თვალი“ მუქი წითელი ცენტრით, რომელიც გარშემორტყმულია უფრო ღია წითელი ფერის რგოლებით
- კაპილარული გაჟონვის სინდრომის გამწვავება. სიმპტომები მოცემულია შემდეგ გვერდზე.

მიოკარდიტის და პერიკარდიტის სიმპტომები

მიოკარდიტი და პერიკარდიტი არის გულის ანთებითი დაავადებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაავადებების რისკი ძალიან დაბალია, თქვენ უნდა იცოდეთ, რა ნიშნებია საყურადღებო.

მიმართეთ ექიმს, თუ აცრის შემდეგ ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომი გამოგვევლინდათ:

- ქოშინი
- გულის ფრიალი (ძლიერი გულისცემა, რომელიც შეიძლება იყოს არარეგულარული)
- მკერდის ტკივილი

კაპილარული გაჟონვის სინდრომის სიმპტომები.

კაპილარების გაჟონვის სინდრომი მცირე სისხლძარღვებიდან სითხის გაჟონვას იწვევს. კაპილარული გაჟონვის სინდრომის მქონე ადამიანებში არსებობს გამწვავების შესაძლო რისკი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაავადებების რისკი ძალიან დაბალია, თქვენ უნდა იცოდეთ, რა ნიშნებია საყურადღებო.

დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, თუ მოდერნას ვაქცინის შემდეგ ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომი გამოგვივლინდებათ:

- კიდურების სწრაფი შეშუპება (ხელები და ფეხები)
- წონის მოულოდნელი მატება

დაბალი წნევის გამო შეიძლება სისუსტე იგრძნოთ.

ამ ვაქცინის გაკეთებიდან პირველ რამდენიმე დღეში ხშირად აღინიშნება კაპილარების გაჟონვის სინდრომი. დააკვირდით ამ სიმპტომებს ვაქცინაციის შემდეგ.

თქვენ არ უნდა გაიკეთოთ მოდერნას (სპიკევაქსის) COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინა, თუ

- რომელიმე ინგრედიენტზე მწვავე ალერგიული რეაქცია გქონდათ (მათ შორის, პოლიეთილენ გლიკოლი ან PEG). ინგრედიენტების ჩამონათვალის სანახავად, ნაიკითხეთ მწარმოებლის მიერ გაცემული პაციენტის საინფორმაციო ფურცელი.
- თქვენ გქონდათ მწვავე ალერგიული რეაქცია **მოდერნას** ან **ფაიზერის** (კომირნატი) ვაქცინის წინა დოზაზე.
- თქვენ გქონდათ მწვავე ალერგიული რეაქცია ტრომბეტამოლის შემდეგ (კონტრასტული საღებავის ერთ-ერთი შემცველობა, რომელიც გამოიყენება MRI რენტგენოლოგიურ კვლევებში).
- თქვენ გქონდათ მიოკარდიტი (გულის ანთება) **მოდერნას** ან **ფაიზერის** (კომირნატის) COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის წინა დოზაზე
- თქვენ ხართ 30 წლამდე.
- ექიმმა გითხრათ, რომ არ უნდა გაიკეთოთ **ფაიზერის** (კომირნატის) ან **მოდერნას** (სპიკევაქსის) COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინა სამედიცინო მიზეზით.

30 წლამდე ადამიანები, რომლებმაც **მოდერნას** (სპიკევაქსის) COVID-19 ვაქცინა გაიკეთეს, უნდა გაიკეთონ **ფაიზერის** (კომირნატის) COVID-19 ვაქცინის მეორე ან შემდგომი დოზა.

ესაუბრეთ თქვენს ექიმს COVID-19 საწინააღმდეგო აცრის გაკეთებამდე, თუ თქვენ:

- გქონდათ მძიმე ალერგიული რეაქციის (ანაფილაქსიის) ისტორია, მათ შორის ნებისმიერი სხვა ვაქცინის ან მედიკამენტის მიმართ
- გქონდათ პერიკარდიტი (გულის გარსის ანთება) **ფაიზერის** (კომირნატის) COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის წინა დოზის გაკეთების შემდეგ.
- ანამნეზში გქონდათ კაპილარების გაჟონვის სინდრომი.

ჯანსენის COVID-19 სანინააღმდეგო ვაქცინა

ქვემოთ ჩამოთვლილია შესაძლო გვერდითი მოვლენები და მათი სიხშირე, ასევე მითითებულია, როდის არ უნდა გაიკეთოთ აცრა. ეჭვის შემთხვევაში ყოველთვის მიმართეთ სანდო სამედიცინო სპეციალისტს.

შესაძლო გვერდითი მოვლენები:	
<p>ძალიან ხშირი გვერდითი მოვლენები აღენიშნება 10-დან 1-ზე მეტ ადამიანს</p>	<ul style="list-style-type: none"> • დაღლილობის შეგრძნება • აცრის ადგილას ტკივილი • თავის ტკივილი • კუნთების ტკივილი • გულისრევა
<p>ხშირი აღენიშნება 10-დან 1 ადამიანს</p>	<ul style="list-style-type: none"> • აცრის ადგილას სინითლე ან შეშუპება • სახსრების ტკივილი • ხველა • ცხელება (სიცხე - 38 გრადუსი ცელსიუსით ან მეტი) ან შემცივნება
<p>არახშირი აღენიშნება 100-დან 1 ადამიანს</p>	<ul style="list-style-type: none"> • ზურგის ტკივილი • ენერჯის ნაკლებობა • შეუძლოდ ყოფნა • კუნთების სისუსტე • ტკივილი კიდურებში • ყელის ტკივილი • გამონაყარი • ცემინება • ჭარბი ოფლიანობა • ტრემორი • დიარეა • უჩვეულო შეგრძნება კანში, როგორცაა ჩხვლეტა ან ჟრუანტელის შეგრძნება (პარესთეზია) • თავბრუსხვევა

<p>იშვიათი ალენიშნება 1 000-დან 1 ადამიანს</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ჭინჭრის ციება და ჰიპერმგრძობელობა ● სხეულის ზოგიერთ ნაწილში მგრძობელობის დაქვეითება (ჰიპოესთეზია) ● ლიმფური ჯირკვლები შეშუპება ● ღებინება ● მუდმივი ხმაური ყურებში (ტინიტუსი) ● სისხლის შედედება ღრმა ვენებში (როგორცაა ღრმა ვენების თრომბოზი და ფილტვის ემბოლია).
<p>ძალიან იშვიათი ალენიშნება 10 000-დან 1 ადამიანს</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ძალიან უჩვეულო სისხლის შედედება დაბალი თრომბოციტებით - სიმპტომები იხილეთ ქვემოთ ● გილენ-ბარეს სინდრომი - მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს სხეულის ნერვებზე - სიმპტომები იხილეთ შემდეგ გვერდზე
<p>უკიდურესად იშვიათი სიხშირე ჯერ არ არის ცნობილი</p>	<ul style="list-style-type: none"> ● მწვავე ალერგიული რეაქცია ● სისხლში თრომბოციტების ძალიან დაბალი დონე (იმუნური თრომბოციტოპენია) ● მდგომარეობა, რომელიც იწვევს მცირე სისხლძარღვებიდან სითხის გაჟონვას (კაპილარული გაჟონვის სინდრომი) - სიმპტომები იხილეთ შემდეგ გვერდზე ● ზურგის ტვინის ანთება (განივი მიელიტი) ● კანის მცირე სისხლძარღვების ვასკულიტი (კანის სისხლძარღვების ანთება)

ძალიან იშვიათი და უჩვეულო სისხლის შედედების სიმპტომები

მიუხედავად იმისა, რომ ტრომბოციტების დაბალი რაოდენობით სისხლის შედედების რისკი ძალიან მცირეა, უნდა იცოდეთ, რა ნიშნებს დააკვირდეთ. დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, თუ აცრის შემდეგ ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომი გამოგვევლინდათ:

- ქოშინი
- ტკივილი გულმკერდის ან კუჭის არეში
- ფეხის შეშუპება ან სიცივის შეგრძნება
- ძლიერი ან გაუარესებული თავის ტკივილი, დაბინდული მხედველობა, დაბნეულობა ან კრუნჩხვები
- მუდმივი სისხლდენა კანის ქვეშ, სადაც ადრე ტრავმა არ აღინიშნებოდა
- მრავლობითი მცირე სისხლჩაქცევები, მოწითალო ან მენამული ლაქები, ან სისხლის ბუშტუკები კანქვეშ

ამ ვაქცინით აცრის გაკეთებიდან 14 დღეში აღინიშნებოდა ძალიან იშვიათი სისხლის შედედება ტრომბოციტების დაბალი რაოდენობით დააკვირდით ამ სიმპტომებს ვაქცინაციის შემდეგ რამდენიმე კვირის განმავლობაში.

კაპილარული გაჟონვის სინდრომის სიმპტომები.

კაპილარების გაჟონვის სინდრომი მცირე სისხლძარღვებიდან სითხის გაჟონვას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაავადებების რისკი ძალიან დაბალია, თქვენ უნდა იცოდეთ, რა ნიშნებია საყურადღებო.

დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, თუ ჯანსენის ვაქცინის შემდეგ ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომი გამოგვევლინდებათ:

- კიდურების სწრაფი შეშუპება (ხელები და ფეხები)
- წონის მოულოდნელი მატება

დაბალი წნევის გამო შეიძლება სისუსტე იგრძნოთ.

ამ ვაქცინის გაკეთებიდან 4 დღეში ხშირად აღინიშნება კაპილარების გაჟონვის სინდრომი. დააკვირდით ამ სიმპტომებს ვაქცინაციის შემდეგ.

გილენ-ბარეს სინდრომის (GBS) სიმპტომები

გილენ-ბარეს სინდრომი არის დაავადება, რომელიც სხეულის ნერვებს აზიანებს. ის იწვევს ნერვის ანთებას და შეიძლება გამოიწვიოს ტკივილი, დაბუჟება, კუნთების სისუსტე და სიარულის სირთულე.

სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, თუ გაქვთ:

- გაორებული ხედვა ან თვალების მოძრაობის სირთულე
- ყლაპვის, ლაპარაკის ან ლეჭვის სირთულე
- კოორდინაციის პრობლემა, არასტაბილურობის შეგრძნება ან სიარულის სირთულე
- სისუსტე, მკლავების, ფეხების, გულმკერდის ან სახის დამბლა
- ჩხვლეტის შეგრძნება ხელებში ან ფეხებში
- შარდის ბუშტის კონტროლისა და ნაწლავების მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემები

ჯანსენის COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინა არ უნდა გაიკეთოთ, თუ:

- ვაქცინის რომელიმე ინგრედიენტზე მწვავე ალერგიული რეაქცია გქონდათ (მათ შორის პოლისორბატი 80). ინგრედიენტების ჩამონათვალის სანახავად, ნაიკითხეთ მწარმოებლის მიერ გაცემული პაციენტის საინფორმაციო ფურცელი.
- ამ ვაქცინის ან ასტრაზენეკას (ვაქსზევრიას) COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის წინა დოზაზე მწვავე ალერგიული რეაქცია გქონდათ.
- ასტრაზენეკას (ვაქსზევრიას) COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის წინა დოზის დროს თქვენ გქონდათ სისხლის შედედება ტრომბოციტების დაბალი რაოდენობით
- ანამნეზში გქონდათ კაპილარების გაჟონვის სინდრომი (იხილეთ წინა გვერდი).
- ექიმმა გითხრათ, რომ სამედიცინო მიზეზების გამო არ უნდა გაიკეთოთ ასტრაზენეკას (ვაქსზევრიას) COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინა.

ესაუბრეთ თქვენ ექიმს COVID-19 საწინააღმდეგო აცრის გაკეთებამდე, თუ თქვენ:

- გქონდათ მძიმე ალერგიული რეაქციის (ანაფილაქსიის) ისტორია, მათ შორის ნებისმიერი სხვა ვაქცინის ან მედიკამენტის მიმართ
- გქონდათ თრომბოციტოპენია (თრომბოციტების არანორმალურად დაბალი დონე).

აცრის შემდეგ უნდა გააკონტროლოთ ტრომბოციტების დონე, თუ ანამნეზში იმუნური თრომბოციტოპენია გქონდათ.

რა უნდა გააკეთოთ, თუ გექნებათ სიცხე, მწვავე ტკივილი ან ტკივილები

სიცხის ან ტკივილების შემთხვევაში, შეგიძლიათ მიიღოთ პარაცეტამოლი ან იბუპროფენი. თუმცა, თუ სიცხე 48 საათზე მეტ ხანს გაგრძელდება, ან თუ მაინც შეშფოთებული ხართ, გთხოვთ მიმართოთ ექიმს.

ვაქცინის მოქმედებისთვის საჭირო დრო

აცრის გაკეთებიდან საჭიროა გარკვეული დრო, 14 დღემდე, რომ თქვენმა იმუნურმა სისტემამ გამოიმუშაოს პასუხი და დაგიცვათ COVID-19-გან.

არსებობს ძლიერი, სანდო მტკიცებულება, რომ COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინები ძალზე ეფექტურია COVID-19-ით სიკვდილიანობისა და სერიოზული ავადობის თავიდან ასაცილებლად და რომ ისინი მნიშვნელოვნად ამცირებს ამ ვირუსით დაინფიცირების რისკს.

საკუთარი თავისა და სხვების დასაცავად, გაეცანით საზოგადოებრივი ჯანდაცვის უახლოეს რეკომენდაციებს ვებგვერდზე **www.hse.ie**

როგორ მივანოდო ინფორმაცია გვერდითი მოვლენების შესახებ

ჩვენ COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინებს ვიკვლევთ. თუ COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთების შემდეგ რამე გვერდითი მოვლენა გამოგვევლინდებათ, გთხოვთ აცნობოთ ამის შესახებ სამკურნალო საშუალებების მარეგულირებელ ორგანოს (HPRA).

HPRA ირლანდიაში მედიკამენტების, სამედიცინო მოწყობილობებისა და სხვა სამკურნალო საშუალებების მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს. გთხოვთ ეწვიოთ **www.hpra.ie/report** COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის გვერდითი მოვლენის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. ასევე შეგიძლიათ სთხოვოთ თქვენს ექიმს ან ოჯახის წევრს, მიანოდონ ინფორმაცია გვერდითი მოვლენის შესახებ თქვენი სახელით.

თქვენი პირადი ინფორმაცია

HSE თქვენს პირად ინფორმაციას დაამუშავებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ვაქცინის უსაფრთხოდ გაკეთება და ვაქცინის კონტროლისა და მართვისთვის აუცილებელი ყველა ინფორმაციის აღრიცხვა. HSE ყველა ინფორმაციას დაამუშავებს საერთო კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) შესაბამისად, რომელიც ძალაში 2018 წელს შევიდა.

თქვენი მონაცემები კანონიერების და სამართლიანობის პრინციპების დაცვით დამუშავდება. მათი დამუშავება მოხდება მხოლოდ და მხოლოდ ვაქცინაციების მართვის მიზნით. გამოყენებულია მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ აღრიცხული იქნება მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც საჭიროა თქვენი ვინაობის დადგენის, ვიზიტის დანიშვნის, ვაქცინაციის აღრიცხვის და მისი ეფექტების კონტროლის მიზნით.

GDPR-ის შესაბამისად, როგორც მონაცემთა სუბიექტს, თქვენს პირად ინფორმაციასთან მიმართებაში, რომელიც უნდა დამუშავდეს, თქვენ გაქვთ შემდეგი უფლებები:

- მოითხოვთ ინფორმაცია და წვდომა თქვენს პირად მონაცემებზე (საყოველთაოდ ცნობილი, როგორც „მონაცემთა სუბიექტის მიერ წვდომის მოთხოვნა“). ეს საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ ჩვენს ხელთ არსებული თქვენი პირადი მონაცემების ასლი და შეამოწმოთ, ვამუშავებთ თუ არა მათ კანონიერად.
- მოითხოვთ ჩვენს ხელთ არსებული თქვენი პირადი მონაცემების შესწორება. ეს საშუალებას გაძლევთ მოითხოვოთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული არასრული ან არაზუსტი ინფორმაცია ჩასწორდეს.
- მოითხოვთ თქვენი პირადი მონაცემების წაშლა. ეს საშუალებას გაძლევთ მოითხოვოთ პირადი მონაცემების წაშლა ან ამოღება, თუ მისი დამუშავების გაგრძელების საფუძველი არ არსებობს. ასევე უფლება გაქვთ მოითხოვოთ თქვენი პირადი მონაცემების წაშლა ან ამოღება იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენეთ მონაცემების დამუშავებაზე წინააღმდეგობის განცხადების უფლება.
- თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებაზე პროტესტის გამოთქმა.

უფრო მეტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებსაიტზე:

www.hse.ie/eng/gdpr

სად მიიღოთ მეტი ინფორმაცია

www.hse.ie-ზე მოცემულია ჩვენი ექსპერტების დეტალური ინფორმაცია COVID-19 შესახებ:

- ვაქცინების ხელმისაწვდომობა და ვის შეუძლია აცრის გაკეთება
- როგორ უნდა აიცრათ
- აცრის გაკეთება დაავადების შემდეგ
- თქვენთვის რეკომენდირებული ვაქცინის დოზები
- ბავშვების ვაქცინაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება
- სიმპტომები და ტესტირება
- რეკომენდაცია თქვენი და სხვა ადამიანების დაცვის შესახებ

ვაქცინის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად, წაიკითხეთ მწარმოებლის საინფორმაციო ბროშურა პაციენტისთვის. ის ამობეჭდილი იქნება თქვენთვის აცრის გაკეთების დღეს, ან მისი ნახვა შეგიძლიათ ვებგვერდზე:

www.hse.ie/covid19vaccinePIL

ვაქცინის შესახებ კითხვების შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ სამედიცინო სპეციალისტს, როგორცაა თქვენი ამცრელი ექიმი, სამედიცინო სპეციალისტი, ფარმაცევტი ან სამედიცინო გუნდი.

ასევე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ HSELive-ს უფასო ტელეფონის ნომერზე **1800 700 700**. ჩვენი გუნდი დაგეხმარებათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე და შაბათ-კვირას დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.



**COVID-19
VACCINE**
Public Health
Advice

გამოქვეყნებულია HSE-ს
მიერ 2022 წლის მარტში.

განახლებული ინფორმაციის
ნახვა შეგიძლიათ ვებგვერდზე

www.hse.ie



Rialtas na hÉireann
Government of Ireland